2016 წელი

პირველადი გადაუდებელი დახმარება მწერების და გველის ნაკბენის დროს

საშიში მწერები

ფუტკარი

ბზიკი

მწერების ნაკბენები

- მწერების კბენისას ჭრილობაში ხვდება შხამიანი ნივთიერება, რომელიც იწვევს ორგანიზმის მოწამვლას.

ორგანიზმის რეაქციას, მწერების ნაკბენზე ალერგიული რეაქცია ეწოდება.

ნაკბენის პირველი ნიშნები

ნაკბენის ნიშნები გამოვლინდება კბენიდან 5-15 წუთში.

ამ დროს აღინიშნება:

1. ქავილი;
2. შეშუპება;
3. თავის ტკივილი;
5. გამონაყარი;
6. შეიძლება იყოს ტემპერატურის მომატება

გახსოვდეთ!

- განსაკუთრებით საშიშია ფუტკრის , ბზიკის და სხვა შხამიანი მწერების ნაკბენი სახეზე, ტუჩებზე.

ამ შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რადგან შეიძლება განვითარდეს ხორხის შეშუპება, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია.

პირველადი დახმარება--პირველი ქმედებები

- პირველ რიგშ უნდა ამოვიღოთ ჭრილობიდან ნესტარი, და მოვწმინდოთ სპირტით.
- დავადოთ ნაკბენზე ცივი საფენი(ყინული, ცივი წყალი).
- და ზარალებულს დავალევინოთ სითხე დიდი რაოდენობით.

ტკიპისმიერი ენცეფალიტი

ტკიპის კბენისას ორგანიზმში ენცეფალიტის ვირუსი.
ტკიპის კბენა იმდენად უმტკივნეულოა,
შეიძლება ვერ იგრძნოს ადამიანმა!

ტკიპისმიერი ენცეფალიტის სიმპტომები

- სხეულის ტემპერატურის მომატება, ცხელება;
- თავის ტკივილები;
- გულისრევა, ღებინება
- სახის, კისრის და კიდურების კუნთების მოძრაობის შეზღუდვა;
- დაავადების გამოსავალი: ა) დაავადებულის სრული გამოჯანმრთელება, ბ) დაავადებულის სიკვდილი;
- ზოგჯერ დაავადება იწვევს ადამიანის დაინვალიდებას.

ტკიპისმიერი ენცეფალიტი

- თუ ტანსაცმელზე შეამჩნევთ ტკიპას, მაშნვე მოაცილეთ და ჩააგდეთ ცეცხლში ან ნავთში. არ გაჭყლიტოთ ხელით!
- თუ ეს მოხდა სასწრაფოდ დაიბანეთ ხელები საპნით!

ტკიპის კბენის შემთხვევაში, დაზარალებულს დაუყოვნებლივ ესაჭიროება სამედიცინო დახმარება!

პირველადი დახმარება ტკიპის კბენისას

- ხელების დაბანა საპნით;
- ტკიპის მიმაგრების ადგილას საჭიროა ზეთის დაწვეთება ან სხვა საცხის წასმა;
- 1-2 წუთის შემდეგ, ტკიპა პინცეტით უნდა გადავწიოთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და ისე ამოვიღოთ;
- ნაკბენი ადგილი დავამუშოთ სპირტით ან იოდით;
- და ზარალებული დაუყოვნებლივ გავაგზავნოთ სამედიცინო დაწესებულებაში;

როგორ დავიცვათ თავი ტკიპის კბენისგან?

- დასნებოვნებისთვის ყველაზე საშიში

- პერიოდია მაისი, ივნისი და ივლისის თვის პირველი ნახევარი;
- ტყეში წასვლისას დაიცავით თავი ტკიპებისგან,რეგულარულად შეამოწმეთ და სხეული და ტანსაცმელი
- დაბრუნებისას, სახლში შესვლამდე შეამოწმეთ ზედა ტანსაცმელი, შარვალი და ფეხსაცმელი

გველის ნაკბენის ნიშნები

- გველის კბენის შემდეგ, ადამიანის კანზე რჩება ორი წითელი წერტილი-შხამიანი კბილების კვალი.
- კბენიდან პირველ წუთებში, ნაკბენ ადგილას აღინიშნება სუსტი ტკივილი და წვის შეგრძნება. კანი წითლდება და შუპდება. კბენიდან 2-6 საათის შემდეგ აღინიშნება სხეულის ტემპერატურის მატება, თავბრუ, წყურვილის გაძლიერება, გულირევა, ღებინება.
- დაზარალებულს აღენიშნება ძილიანობა ან ზოგჯერ პირიქით--აგზნებადობა

დაიმახსოვრეთ!

- არ შეიძლება გველისგან ნაკბენი ადგილიდან, მაშველის მიერ შხამის პირით გამოწოვა!
- ეს შეიძლება მაშველისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს!

პირველი დახმარება გველის ნაკბენისას



- გველის ნაკბენისას დაზარალებული უნდა დავაწვინოთ, შევუქმნათ მშვიდი გარემო!
- სისხლის ცირკულაციის შენელებისთვის დაზიანებულ ადგილას დავადოთ ცელოფანი ცივი წყლით ან ყინული(თუ შესაძლებელია)
- მოვახდინოთ დაზიანებული კიდურის იმობილიზაცია.
- მივცეთ დაზარალებულს დასალევათ დიდი რაოდენობის სითხე.

ჭრილობის დამუშავება!

- დავამუშოთ ჭრილობა იოდის ხსნარით, ან ბრილიანტის მწვანეთი.
- დავადოთ ჭრილობაზე სტერილური ნახვევი, რომელიც უნდა შევამსუბუქოთ, ნაკბენი ადგილის შეშუპების მომატებისას.

რადიკალური მეთოდი!

- თუ საშუალებაა სასწარფოდ გადავიყვანოთ დაზარალებული სამედიცინო დაწესებულებაში შხამის საწინააღმდეგო შრატის შესაყვანად!